ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 97

11 ივლისი 2025 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
13:00 სთ

მოწვეული სტუმარი:

თბილისის მერიის საფინანსო საქალაო სამსახურის წარმომადგენელი - ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,

კომისიის წევრები- თამარ ჩახვაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, მიხეილ კაკაურიძე, ალექსანდრე ხუჯაძე,ანა გოგოლაძე

ქონების მართვის და საფიონანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე

დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

(**№11-01251902394 საკრ.№15-032519043-03 09/07/2025)**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

ლევან მიქავას მოხსენებით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით იზრდება „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 02 09 01) წლიური ბიუჯეტი 3 071 000 ლარით. თანხის გადმოტანა ხდება პროგრამებიდან: „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“(პროგ/კოდი 02 01 01) -1 540 000 ლარი და „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობები გამაგრება“ (პროგ/კოდი 02 02)- 1531 000 ლარი. აღნიშნული გადანაწილება დაკავშირებულია ქ.თბილისის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენის სამუშაოებთან.

მთაწმინდის რაიონის გამგეობის მოთხოვნით, იზრდება „სხვა სოციალური(დახმარებების)ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 06 02 18 16) წლიური ბიუჯეტი -139 945 ლარით, შესაბამისად მცირდება „უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში“(პროგ/კოდი 06 02 14 15).გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ შეიცვალა მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2025 წელს სოციალური დახმარების ქვეპროგრამებით დასაფინანსებელი მოცულობები. კერძოდ, ქვეპროგრამაში - „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“ (კოდი 06 02 18 16 01) გაიწევა დაგეგმილზე მეტი მოცულობის მომსახურება, ხოლო, ქვეპროგრამით - „უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში“ (კოდი 06 02 14 15) - ნავარაუდევზე ნაკლები მოცულობით.

იზრდება „სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა“(პროგრამული კოდი 08 06 04) წლიური ბიუჯეტი - 522 207 ლარით, ვარკეთილის მრავალფუნქციური სპორტული ცენტრის აღჭურვისთვის. თანხის გადმოტანა ხდება „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი: 08 06 04)-დან.

დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარების დაფიქსირებით გამოწვეული საჭიროებიდან გამომდინარე, იზრდება "სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება" ქვეპროგრამის (კოდი 06 02 22), მესამე კვარტლის ბიუჯეტი 135 200 ლარით, ამავე ქვეპროგრამის მე-4 კვარტლის ბიუჯეტის იგივე თანხით შემცირების ხარჯზე.

გარდა ამისა „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი: 07 05 03) „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლის III კვარტალში არ არის საკმარისი თანხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის ღირებულის დასაფარად, სტუდენტთა მაღალი მომართვიანობის გათვალისწინებით.აღნიშნულის გათვალისწინებით იზრდება მესამე კვარტლის ბიუჯეტი 400 000 ლარით.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ ,ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს (ს/ნ 405566855) ესაჭიროება დამატებით ფინანსური რესურსი , რომელიც გამოყენებული იქნება ვერის ფილიალის ექვსი თვის ხელფასების, საწყობის ხარჯებისა და კომუნალური ხარჯების დასაფარად, აგრეთვე აგვისტოს თვის თანამდებობრივი სარგოს გასაცემად და ვებგვერდის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეპროგრამა „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" (კოდი: 08 08 01) მცირდება 158 445 ლარით და იზრდება „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა" (კოდი: 08 08 02).

საერთო ჯამში გადასახდელებვის მესამე კვარტლის ბიუჯეტი იზრდება 487 446 ლარით, რაც ბალანსდება ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-6 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, ჯანსაცვისა და სოციალური მომსახურების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები, ასევე მთაწმინდის რაიონული გამგეობა ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**